№ 151

შაბათი, 17 ივლისი, 1899 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 151

შაბათი, 17 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

სასტუმრო

„აბაშა“

ტფილისის მეხრე მალაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკა.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში 60 კაპეიკიდგან 1 მან. 50 კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფად.

(10—97—4) დავშთები მარად პატივის მცემელი **ნიკო თოფურია**

## დ. ხონში

ივ. შარაშიძის მიერ დაარსებული საქალებო სასწავლებელი ამა 1899 წ. 1-ლ ივლისიდგან გადაკეთებულია საერო განათლების სამინისტროს უწყების ოთხ-კლასიან საქალებო სასწავლებლად მარიამის სახელობაზედ (Маріинское училище).

ამ სასწავლებლის მთავრობა საჭიროდ სთვლის აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის აზრიდგან შემდეგნი ცნობანი (მუხ. მე-XI ტომ. კანონდებულებისა, გამოცემულის 1893 წ., მარიამის სახელობის სასწავლებლების შესახებ).

1) სასწავლებელში შემოღებულ იქმნა შემდეგი სასწავლო საგნები: 1) სალმრთო სჯული; 2) რუსული სლავიანური ენა; 3) არითმეტიკა; 4) ელემენტარული გეომეტრია; 5) გეოგრაფია; 6) ისტორია; 7) შემოკლებული ბუნებითი ისტორია (ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, კაცის სხეულის შენობა და ჰიგიენა.); 8) წერა; 9) ხატვა; 10) ხელთსაქმე; 11) გალობა; 12) აბრეშუმის მოვლა; 13) ქართული ენა და 14) ფრანგული ენა.

შენიშვნა: ამ უკანასკნელ სამის საგნის სწავლების ნება-რთვის ასაღებად, კანონის ძალით, სასწავლებლის მთავრობა აღძრავს შუამდგომლობას სადაც ჯერ არს, მე-2417 მუხ. და მისის მე 5 შენიშ. თანახმად.

2) ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრება სრულად გასტანს შვიდს წელიწადს: სამს წელიწადს მოსამზადებელ კლასებში და ოთხს წელიწადს—ოთხს უფროსს კლასში.

3) ამ სასწავლებელში სწავლადამთავრებულებთ ნება აქვთ, შემოკლებულ პროგრამით გამოცდის შემდეგ, სასოფლო სასწავლებლის მასწავლებლობისა. (საერო განათლების მინისტრის განკარგულება 29 მაისი 1893 წ., № 13,365 და § 10. 29 მარტი 1896 წ.)

4) სასწავლებელში მისაღები თხოვნა უნდა შემოტანილ იქმნას სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზედ ოც მარიამობისთვიდგან. თხოვნასთან ერთად უნდა შემოიტანონ წლოვანების დავთრიდგან ამოწერილობა და ყვავილის აცრის მოწმობა მკურნალისაგან.

5) სალმრთო სჯულისა, რუსულის ენისა, არითმეტიკისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა და ფრანგულის ენის კურსი უდრის სივრცით საქალებო გიმნაზიების პირველ ოთხ კლასის კურსს. ბუნებითი ისტორია დაიწყება მეორე კლასიდგან და განეგრძობა სამს წელიწადს. გეომეტრია დაიწყება მესამე კლასიდგან და განეგრძობა ორს წელიწადს.

6) ამა 1899 წ. დაიწყება სწავლა მოსამზადებლებსა და 1 და 2 კლასში. მსურველს შეუძლიან დაწვრილებით ცნობები შეიტყოს სასწავლებლის ზედამხედველისაგან დ. ხონში.

საპატიო ზედამხედველი ხონის მარიამის ოთხ-კლასიან სასწავლებლისა ი. შარაშიძე

(2—102—1)

**წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წელს თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მიიღებიან ახალი მოსწავლე ქალნი, თავისუფალ ადგილების რიცხვის მიხედვით, მხოლოდ მოსამზადებელ კლასში.

თხოვნები და ყოველგვარი მოწმობის ქაღალდები უნდა წარდგენილ იქმნას სასწავლებლის კანცელარიაში არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, ხოლო ის ქალნი, რომელთაც ეგზამენი უნდა გარდაიხადონ, უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში 1 და 2 სექტემბერს დილის 8 საათზედ. მოსწავლეთა მიღება კონკურსით იქნება.

განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოსთვის დილის 8 საათიდგან. სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს.

ამასთან გამგეობა იუწყება, რომ სამოსწავლო გარდასახადი, როგორც პანსიონერმა და ნახევრად პანსიონერმა, ისე გარედგან მოსიარულე მოსწავლე ქალებმა უნდა წარადგინონ სავსებით: პირველი ნახევარი—1 ლ სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევარი—1 ლ იანვარს (პანსიონერმა—90 მან., ნახევრად პანსიონერმა 45 მან. და გარედგან მოსიარულემ—15 მან.)

ახლად მიღებული მოსწავლენი ვალდებულნი არიან წარადგინონ გარდასახადი ეგზამენის შემდეგ დაუყოვნებლივ. გარდასახადი მუსიკისა და სომხურის ენის სწავლებისათვის ცალკეა.

ის მოსწავლე ქალნი, რომელნიც დანიშნულ დროისათვის ფულს არ წარადგენენ, ჩაითვლებიან დათხოვნილებად. იმათ ადგილებზედ მიიღებიან ახალი მოსწავლე ქალნი.

(3—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკი**. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** დ. ს. ს. ქვრივმა ნ. ე. ყუფიანისამ შემდეგი დეპეშა მიიღო მისის უდიდებულესობის დედოფალი იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სეფე-ქალისაგან:

„დედოფალი იმპერატრიცა დიდად ასიამოვნა თქვენ და ქართველ დედათა ჯგუფის-მიერ გამოცხადებულმა თანაგრძნობამ მისის დედობრივის დიდ მწუხარების გამო. მისი უდიდე

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

მკურნალობის წარმატება.—„გაახალგაზდავება“ ელექტრონის შემწეობით.—სულით-ავადმყოფის მორჩენა.—საოცარი ოპერაცია და უკუპო კაცი.—„სიკვდილის სუნი“ და ძაღლების ყმუილი.

სამკურნალო მეცნიერებამ ამ ბოლოს დროს შესამჩნევად წაიწია წინ. გაზეთები თითქმის ყოველ-დღე იუწყებიან ახალს რასმეს მკურნალობის შესახებ. რასაკვირველია, ყველა ამბავს გაზეთების მიერ ნაუწყებს, ვერ დავიჯერებთ,—ბევრი ექიმი თავისს ჯიბის გასასქელებლად განგებაც აზიადებს რაიმე ამბავს და იმას ამბობს, რაც ჯერ არც გამოკვლეულია და არც დამტკიცებული,—მაგრამ არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვის თვალით შევხედოთ ისეთ მეცნიერების ნაუწყებს, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთის გამოკვლევებით, კეთილ-სინიდისიერებით და მაღალის ნიჭით. აი სწორედ ამ მეცნიერების აზრით, მკურნალობა უკანასკნელ 15—20 წელიწადში საოცრად განვითარდა, სულ ახლო მომავალში ხომ ამ დარგს მეცნიერებისას, იმათის სიტყვით, ისეთი ბრწყინვალე მერმისი მოელის, რომ სწორედ სასწაულებს მოახდენს. ჯერ ეხლავე მკურნალობამ თითქმის ყველა ავადმყოფობას სათავე და მიზეზი გამოუძებნა და მრავალი ისეთი ძალა სცნო სამკურნალო იარაღად, რომელსაც პირველ შეხედვით არავითარი კავშირი არა აქვს მკურნალობასთან. ავიღოთ თუნდა ელექტრონი და რენტგენის სხივები. რას არა სწერენ მცოდნე კაცები ამაების შესახებ და რა ავადმყოფობის განკურნებას არ მოელიან ელექტრონისა და რენტგენის სხივებისაგან. ამბობენ, მაგალითად, რომ ელექტრონი და რენტგენის სხივები სულ მცირე ხნის განმავლობაში არჩენენ კანის სხვადა-სხვა ავადმყოფობას, ქარებს, სიფილისს და მრავალ სხვას.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ერთმა ექიმმა ამას წინად გამოაცხადა, რომ ელექტრონის შემწეობით შეიძლება კაცის გაახალგაზდავება, უკეთ რომ ვსთქვათ, სიცოცხლის გაგრძელება. ამ ამბავმა საზღვარგარეთ სპეციალისტთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. ბევრმა არამც თუ ეჭვის თვალით შეხედა, არამედ განგებ გამოგონილ ჭორადაც-კი ჩასთვალა. მაგრამ ხსენებულ ექიმის აზრს მომხრეებიც აღმოუჩნდა, და ამ მომხრეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს კიდეც. ეს ექიმი გვარად ალტგაუზია, თვით ამერიკელია, მაგრამ ამ ჟამად ლონდონში სცხოვრობს. ამბობენ, რომ ალტგაუზის გამოგონებით უკვე მრავალმა მოხუცმა ისარგებლა და მართლაც დაიბრუნა სიბერის გამო დაკარგული ძალა და ენერგია. სხვათა შორის „გაახალგაზდავებულა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესანიშნავი ინგლისელი არტისტი ირვინგიც. ირვინგი დაიბადა 1837 წელს, მაშასადამე ამ ჟამად იგი 60 წლისაა. თუმცა არტისტი მაგარისა და საღის აგებულობის კაცი იყო, მაგრამ სასცენო მოღვაწეობამ ადრე მოტეხა და დააბერა. ეხლა-კი, როგორც გაზეთები იუწყებიან, ალტგაუზის მკურნალობის წყალობით ირვინგს ახალგაზდობის ენერგია ხელ-ახლა დაუბრუნდა. ექიმი ჰპირდება თურმე, რომ თუ განსაკუთრებული ავადმყოფობა არაფერი გეწვია, სულ ცოტა 25 წელიწადს კიდევ იცხოვრებო. ასევე „გაახალგაზდავებულა“ ერთი აწინდელი შესანიშნავი კომპოზიტორიც, 85 წლის მოხუცი. მოხუცი იმდენად დაუძლურებული და დაჩანჩაკებული ყოფილა, რომ თითქმის სიარული და წერაც აღარ შეეძლო, ეხლა-კი მშვენივრად დაიარება და უწინდელებრ თავისუფლად და დაუზარებლივ მუშაობს.

ექიმის ალტგაუზის მეტოდი დამყარებულია შემდეგს პრინციპებზედ: ორთა შუა რიცხვით კაცი სცოცხლობს 50 წელს; მაგრამ სრულიად ჯანსაღ კაცს შეუძლიან 100 წლამდე იცოცხლოს. სიბერის დროს და უძლურების მიზეზად მიჩნეულია ესრედ წოდებულ „ნეირონების“ მისუსტება. საჭიროა ამ ნეირონებს ახალი ძალა მიეცეს, ისე როგორც ჩასაქრობად მომზადებულ ლამპარისათვის ახალის ზეთის მიმატებაა საჭირო. ელექტრონი სწორედ აი ამ ზეთობასა სწევს და ძალას უმატებს ნეირონებს. ელექტრონი ტვინზედ უნდა მიეშვას (ყოველ დღე, ან დღე-გამოშვებით) და ასეთის მკურნალობის ორის, ან სამის კვირის შემდეგ კაცს ახალი ძალა და ენერგია ემატება: მოკაკვილი მოხუცი წელში იმართება, მხნედ და გამბედავად იწყებს სიარულს და მუშაობას ერთი-ორად უმატებს.

ექიმს ალტგაუზს ამ მკურნალობისათვის განსაკუთრებული მანქანაც კი გამოუგონია. მანქანა სკამის მაგვარია. პაციენტი ამ სკამზედ უნდა დაჯდეს. შემდეგ თავზედ ჩამოაფარებენ მოსახვევს, რომელიც შეერთებულია ელექტრონის ორ გამტარებელ მავთულთან, ერთს კეფაზედ უმაგრებენ, მეორეს კიდევ შუბლზედ. სეანსი 30 წუთიდგან 1 საათამდე გასტანს ხოლმე. ელექტრონის ტოკი არავითარ უსიამოვნებას არ აყენებს კაცს.

* * *

გაახალგაზრდავებას, რასაკვირველია, ბევრი იქმნება მოწადინებული, მაგრამ გაცილებით უფრო ბევრი სხვა და სხვა სენისა და ავადმყოფობისაგან განკურნებას არის მოწადინებული. დედამიწაზედ სიბერისაგან იმდენი მეათედიც არ იხოცება, რაც ამ სენებისა და ავადმყოფობებისაგან. მკურნალობამ აქაც გამოიჩინა ძალა და მრავალს დღემდის განუკურნებელს ავადმყოფობას გამოუგონა მალამო. ვინ არ იცის, რომ სულით ავადმყოფობა, მაგალითად განუკურნებელ სენად არის მიჩნეული. აბა ახლა ყური დაუგდეთ ქირურგიას რა

ბულესობა გულწრფელად გმადლობთ თქვენ და ყველას.“

სეფე-ქალი ეკატერინა ოზეროვა.

ეს დეპეშა პასუხი იყო ნ. ე. ყიფიანის შემდეგის დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა დედოფალ იმპერატრიცას:

„ღირს გვყავ, დიდებულო მწუხარე მეფე-დედავ, თქვენის მხურვალე ცრემლების ნაკადს შევუერთოთ ქართველ დედათა ჯგუფის მწარე ცრემლებიც შენის ძვირფასის უავგუსტოესის ძის უდროოდ გარდაცვალების გამო“.

*** 15 ივლისს, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს-ძის გვამის დაკრძალვის მეორე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში წირვა და პანაშვიდი გარდიხადა ეპისკოპოსმა ლეონიდემ, ტაძრის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ: მთავარმართებლის საბჭოს წევრნი გ. სულთან-კრიმ-გირეი და მიცკევიჩი. კავკასიის მეურნეობის ინსპექტორი გეევსკი, ტფილისში მყოფი გენერლობა და მრავალი სხვა.

*** 29 ივლისისათვის სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში დანიშნულია მეორე ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიის მამულების გასასყიდად (გასასყიდია 19 მამული).

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს, წარმომიდგინეთ ქალაქის გამგეობის შარშანდელ მოქმედების ანგარიშიო.

*** ტფილისის გუბერნატორმა 15 ივლისს საგანგებოდ გაგზავნა ავჭალაში გუბერნიის მექანიკოსი ინჟინერი გ. გ. ხელიმსკი წყლის მილების გასაწესრიგებელ ზომების მისაღებად.

*** „ლონდონის“ სასტუმროში 15 კაცის მოწამვლის საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სასტუმროს პატრონს, რიხტერს, მხოლოდ „კვასი“ დაელია და მითი მოწამლულიყო. ეს სასტუმრო იღებდა კვასს ორ ადგილიდგან: გიორგიევის დუქნიდგან (გოლ. პროსპ.) და ესაიანცის დუქნიდგან (მადათოვის კუნძ.) ეს დუქნები დაათვალიერა პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა, ექიმებთან ერთად, და პირველი დუქანი ყოველ მხრივ სუფთა ჰნახა. აქედგან გამოსაკვლევად წაიღეს კვასის ქაშნიკი და გიორგიევს დროებით ამ სასმელით ვაჭრობა აუკრძალეს. ხოლო მეორე დუქანი მეტად ვიწრო და საშინელი უსუფთაო აღმოჩნდა. იქვე გადააქციეს 3 ბოჭკა სასმელად უვარგისი კვასი. დუქანი დაკეტილ იქმნა, სანამ მისი პატრონი უკეთესს სადგომს მოსძებნიდეს.

*** პოლიცმეისტრის თანამდ. აღ. გ. ს. კოვალევმა უბრძანა ბოქაულებს: შეატყობინეთ მცხოვრებთ, რომ უწყლობა ქალაქში მოისპობა დაახლოვებით ერთის კვირის განმავლობაში; ამიტომ ვიდრე ქალაქი საკმაოდ მიიღებდეს წყალს, მცხოვრებთ შეუძლიანთ ისარგებლონ მტკვრის წყალით ზოგიერთს ადგილებში; მაგრამ ეს წყალი უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ხელ-პირის დასაბანად, გასარეცხად და სხ... ხოლო დასალევად-კი ამ წყლით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში და ისიც იმ პირობით, რომ ეს წყალი მოდუღებულ იქმნასო.

*** ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის ბიულეტენიდგან სჩანს, რომ მოსავლის მხრივ განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში იმყოფება დუშეთის მაზრა.

*** ტფილისის მკვიდრ მცხოვრებთა საჩივარი მათის გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნების უწესოებაზედ საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ გადასდო განსახილველად შემდეგისათვის.

*** ფინანსთა სამინისტროს გარდასახადთა დეპარტამენტმა წინადადება მისცა ტფილისის სახაზინო პალატას: 1) ნაწილ-ნაწილად გარდაახდევინეთ დუშეთის მაზრის სოფ. ძეგნაქორის საზოგადოებას მაზედ დარჩენილი საგუბერნიო საერო გარდასახადი 404 მან. და 89 კ., ხუთის წლის განმავლობაში, 1899 წ. 1-ლ ივლისიდგან, და 2) დააცალეთ იმავე დროიდგან ამ საზოგადოებას მაზედ დარჩენილ საკომლო გარდასახადის, 89 მან. და 50 კაპიკის გარდახდა 5 წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული ფული ნაწილ-ნაწილად გადაახდევინეთ 5 წლის განმავლობაშიო.

*** პროფესორი ნიკოლოოზ მარრი ამ ჟამად მუშაობს მეათე საუკუნის ტბეთის ხელთანაწერ საგალობლის გაცნობაზე. იმედია, რომ ბატონი პროფესორი ამ დიადს საუნჯეზედ მიუდგომელს დასკვნას შეადგენს და გამოაქვეყნებს. მან უკვე დაამთავრა მუშაობა საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო მუზეუმში. ამ მოკლე ხანში გაემგზავრება ეჩმიაძინს.

*** მისაღები ეგზამენები ტფილისის სამსავე კლასიკურ გიმნაზიაში დანიშნულია მხოლოდ მოსამზადებელ და უფროს კლასებისათვის, რადგან პირველს კლასებში არ არის თავისუფალი ადგილები, თუმცა პირველ, მეორე და მესამე კლასებში შემსვლელთა რიცხვი-კი აუარებელია.

*** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის რწმუნებული ბ-ნი გაბაშვილი დასთანხმდა, რომ ქალაქმა კედლით გაამაგროს ავჭალაში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, რომელიც თავ. ბაგრატიონ-მუხრანბატონს ეკუთვნის. ამის გამო გუშინ ავჭალაში გაემგზავრა გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. კედლის აშენება უკვე დაიწყო და ამ დღეებში კიდეც დამთავრდება.

*** ტყიბულის ქვანახშირის მადნებისა და ბრიკეტის წარმოების საზოგადოების მეაქციეთა საზოგადო კრებამ, რომელიც ამ დღეებში მოხდა პეტერბურგში, დაამტკიცა საზოგადოების მესამე 1898 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, საზოგადოების მოქმედება 1898 წელშიაც ისე ზარალიანი ყოფილა, როგორც წინა წლებში იყო. ამ წელში საზოგადოებას უზარალნია 184,840 მან., მაშინ როდესაც 1897 წ. მისი ზარალი უდრიდა—156,888 მან., ხოლო 1896 წ.—195,388 მან., სულ-კი დაარსების დღიდგან საზოგადოებას უზარალნია 537,114 მან.

*** სოხუმიდგან „ახ. მიმ.“-ს აუწყებენ, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს არ დაუმტკიცებია სოხუმის ქალაქის მოურავად ა. ი. სარაჯიშვილი, რომელიც არჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზედ გასულ 28 ივნისს, და დაუნიშნავს სოხუმის ქალაქის მოურავად სამსახურიდგან გადამდგარი შტაბს-როტმისტრი ლ. მ. ბერენსი, რომელმაც პირველ არჩევნებზედ, 17 მაისს, მიიღო 9 თეთრი და 17 შავი კენჭი.

*** „ახ. მიმ.“-ს ყარსიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ 15 ივლისს, იმ დღეს, როცა პირველი მატარებელი უნდა მისულიყო, ერთის საათით წინ, თავი მოუკლავს ყარსის რკინის გზის სადგურების აშენებელს ცნობილ მოიჯარადრეს რაფაელოვს. სიკვდილის წინ მას უსიამოვნება მოსვლია გზის სამმართველოსთან ფულის ანგარიშის გამო.

*** უწყლობის გამო საქმე აქვთ გაჭირვებული არა მარტო მექარხნეთ. ცუდს მდგომარეობაში არიან ამ მხრით აგრეთვე საბანებლებისა, სამკურნალო დაწესებულებათა, სასტუმროებისა და სხ. პატრონი. წყლის სიცოტავე დიდ ზარალს აძლევს იმათაც, ვინც სახლებს აშენებს. ლაპარაკი არ უნდა, რომ ამ ზარალის უმეტესი ნაწილი შემდეგში სახლების დამქირავებელთ და საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებთ დააწვება კისრად. დასასრულ, ვინ იცის, თუ როგორ დაზიანდება ხალხის ჯანმრთელობა? („კავკ.“)

*** ტფილისის ჯიბგირები იმდენად გათამამებული არიან, რომ დარაჯი თავზედაც რომ ადგეთ, ისე უშიშრად ამოაცლიან კაცს ჯიბიდგან ქისას, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ერთს ასეთ ჯიბგირს-კი არ შერჩა სხვისი ჯიბიდგან ხელის წაპოტინება. ხუთშაბათს, 15 ივლისს, ასე საღამოს ხუთს საათზე, ვარანცოვის ძეგლთან ვიღაც მანდილოსანს, რომელიც კაცობის დოდანში იყო გართული, მიუახლოვდა ჯიბგირი, ამოაცალა ქისა, რომელშიაც სამი თუმანი ყოფილიყო და დაეშვა სირბილით დიდის მთავრის ქუჩისაკენ. ქალმა მალე გაიგო, რომ ჯიბე დაუცარიელდა; დამნაშავე დაიჭირეს და პოლიციაში წაიყვანეს.

*** კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე კოჯორს წავიდა.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლკ. ი. ნ. სვეჩინი გაემგზავრა კოჯორს, ხოლო იქიდგან დაბრუნების შემდეგ წავა ბორჩალოს მაზრაში.

## საკვირველი ღონისძიება ყაჩაღთა შესაპყრობად.

(წერილი კარდანახიდგან)

6 და 7 ივლისს ამა წლისას შემთხვევით მომიხდა სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში ყოფნა. გავიარე სოფლის კანცელარიისაკენ და შევედი შიგ. კანცელარიაში ვერ ვნახე-რა, ერთის დანჯღრეულის სტოლისა და რამდენისამე დამტვრეულის სკამის გარდა. იქვე კანცელარიის ქვეშ მიწაში გამოთხრილ ბნელ და ნესტიან სოროდგან რამდენისამე კაცის თავი მოჩანდა. გამოვიხმე, შევეკითხე და აღმოჩნდა, რომ ესენი აქაური გლეხები იყვნენ იაშვილები, დაპატიმრებულნი კარდანახის მხნე მამასახლისის გიორგი ე...ისაშვილის

---

სასწაული მოუხდენია და რას მოგვითხრობენ ამის შესახებ გაზეთები.

ჩიკაგოში ყველა კარგად იცნობს ვექილს ფრანკ გოვარდ კოლლიერს. თავისის მჭერ-მეტყველობით კოლლიერმა მთელ ამერიკაში გაითქვა სახელი. კოლლიერი იმდენად სახელგანთქმული ვექილია, რომ წელიწადში ვექილობით 100,000 მანეთს იღებს. 1889 წელს, როდესაც პალატის შენობიდგან გამოდიოდა, კოლლიერს თავს დაესხნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ მოსყიდული ბოროტ-განზრახველნი, რომელთაც ისე მაგრა დასთხლიშეს თავში კეტი, რომ ერთის დარტყმით საღ-სალამათი კაცი უგრძნობლად მიწაზედ დაეცა. ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და ვექილი რამოდენისამე ხნის შემდეგ მორჩა. მაგრამ ამ დღიდგან კოლლიერი ის აღარ იყო, რაც წინად: შესანიშნავი ვექილი ჭკუიდგან შესცდა. თუმცა კოლლიერი სულით-ავადმყოფთა საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ ექიმებმა სენი განუკურნებლად სცნეს და, რადგან ავადმყოფი საშიში არ იყო, გაანთავისუფლეს კიდეც. მას შემდეგ კოლლიერი მთელი ათი წელიწადი თავისს ოჯახში სცხოვრობდა სრულიად გამოყეყეჩებული. კოლლიერს ქვეყანაზედ აღარაფერი აღარ ესმოდა და აღარაფერი აღარ აინტერესებდა: ოდესღაც შესანიშნავი მჭერ-მეტყველი და ჭკვიანი კაცი იდიოტს დაემსგავსა.

ამ ყოფაში იყო კოლლიერი, როდესაც ექიმმა სპიტცკამ, ამერიკაში დიდად ცნობილმა ქირურგმა, ლაპარაკი ჩამოუგდო და გამოჰკითხა ავადმყოფობის შესახებ. გამოკითხვის დროს ვექილმა სთქვა, რომ ხანდისხან საშინელ ტკივილსა ვგრძნობ ტვინში, სწორედ ყურის ზემოდაო. ქირურგმა მაშინვე გამოუცხადა ნათესავებს, რომ ოპერაციაა საჭირო, და თუ ნებას მომცემთ, იმედი მაქვს, ერთის კვირის განმავლობაში სრულიად მოვარჩინო ავადმყოფიო. რაღა ლაპარაკი უნდა, ნათესავები სიხარულით დასთანხმდნენ. სპიტცკამ მეორე დღესვე ავადმყოფს თავის კეფა გაუხვრიტა სწორედ იმ ადგილას, სადაც ტკივილსა ჰგრძნობდა და იქიდგან დაკოლტებული, შემხმარი სისხლი გამოუღო. ეს იყო და ეს, ავადმყოფი ამ დღიდგან სრულიად განიკურნა. როდესაც ათის წლის წინად ჯოხი დაურტყამთ, სისხლი ტვინში ერთ ადგილას შექუჩებულა, იქ შემხმარა და კოლლიერიც სწორედ ამისაგან შემცდარა ჭკუისაგან. რაკი ეს სისხლი გამოიღო ექიმმა, ავადმყოფიც სრულიად მორჩა.

„ოპერაციის შედეგი იმდენად ბრწყინვალე იყო, სწერს თვით კოლლიერი, რომ ექვსი დღის შემდეგ უკვე საავადმყოფოდგან გამოვეწერე, ხოლო ერთის კვირის შემდეგ ჩემთან ამხანაგი ვექილი მოვიდა სასამართლოში გასარჩევ ერთის საქმის გამო მოსალაპარაკებლად. მას შემდეგ, როგორც ახალგაზრდობაში, ისე შევუდექ მუშაობას. ეხლა სრულიად ჯანმრთელი ვარ და არავითარ სისუსტეს არა ვგრძნობ“.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს პირველი მაგალითი არ არის, როდესაც ოპერაციის შემწეობით სულით ავადმყოფი განუკურნავთ. მაგრამ ასეთი კარგი შედეგი არც ერთს ოპერაციას არ მოჰყოლია. საყურადღებოა შემდეგიც. სპიტცკა ამტკიცებს, რომ ჭკუის შეშლა თითქმის ყოველთვის ტვინის მექანიკურად დაშავებას მოსდევსო და ამიტომ ყოველს ასეთს შემთხვევაში შეიძლება შეშლილს გონება ამ გვარის ოპერაციის შემწეობით დაუბრუნდესო.

* * *

ასეთისავე არა-ჩვეულებრივის და მეტად საშიშის ოპერაციის შემწეობით ამერიკელმა ექიმმა მაკდონალდმა უეჭველს სიკვდილს გადაარჩინა ერთი მუშა, ვინმე პატრიტი. პატრიტი იტალიელია და ამერიკაში ერთს ფერმაზედ მუშაობდა. საწყალს კუ გაუჩნდა და ამ ავადმყოფობამ ისე შეაწუხა, რომ მუშაობას თავი გაანება და სან-ფრანცისკოში წავიდა ცნობილ ექიმ მაკდონალდთან. მაკდონალდმა, გასინჯა რა ავადმყოფი, გამოუცხადა, შენი მორჩენა მხოლოდ ოპერაციით შეიძლებაო; ამასთან დაუმატა, ეს ოპერაცია ისეთი საშიში და ძნელია, რომ ათს კაცში ერთს ძლივს შეუძლიან ატანაო. პატრიტი მაინც დასთანხმდა ოპერაციას. ავადმყოფი დააძინეს და გამოსჭრეს ის ადგილები, რომელიც კუსაგან იყო დაშავებული, ე. ი. მთელი კუჭი, და ამ რიგად კაცი უკუჭოდ დასტოვეს. შემდეგ გაჭრილი ადგილი აბრეშუმის ძაფით გაუკერეს. ოპერაციამ სულ $1^1/_2$ საათი გასტანა. როგორცა ვთქვით, ეს ოპერაცია მეტად საშიშია; საკმაოა ქირურგმა რომელიმე მცირე ნერვი დააზიანოს და კაცი მაშინვე სიცოცხლეს გამოესალმება. „პატრიტს რომ წარმოდგენა ჰქონოდა ფიზიოლოგიისა, ამბობს ის ჟურნალი, საიდგანაც ჩვენ ცნობა ამოვიღეთ, ამ ოპერაციაზედ არასოდეს არ დათანხმდებოდაო“.

ერთის კვირის შემდეგ პატრიტმა განაცხადა, რომ მშიანია და ხორცი მოითხოვა. თუმცა ხორცის ჭამა სასტიკად აუკრძალეს, მაგრამ საავადმყოფოდგან მაინც გაანთავისუფლეს. განთავისუფლებისავე პირველ დღეს მშიერი პატრიტი რესტორანისაკენ გაეშურა და ისე მიაძლა საჭმელს, რომ სიარული ძლივს-ღა შესძლო. პატრიტი ხელ ახლა დაამწყვდიეს სამკურნალოში, მაგრამ მოუსვენარ ავადმყოფს ისე მოჰბეზრდა იქ ცხოვრება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ჩუმად გაიპარა. რამდენისამე დღის შემდეგ ექიმი მაკდონალდი გაქცეულს რკინის გზის სადგურზედ შეჰხვდა. პატრიტს უშველებელი ჩამოდანი წამოედო ზურგზედ და არხეინად მიჰქონდა თურმე. ექიმმა იქვე გააგდებინა ჩამოდანი, ეტლში ჩაისვა და ხელ-ახლა საავადმყოფოში დაამწყვდია. ერთი თვე კიდევ ამყოფა იქ და შემდეგ, როდესაც განკურნებულად სცნო, გაანთავისუფლა. პატრიტი ეხლა უწინდელებრ ფერმაზედ მუშაობს. იგი სრულიად ჯანმრთელი და ჯან-საღი კაცია და თუმცა კუჭი არა აქვს, მაგრამ იმის მაგიერობას ნაწლევი ასრულებს, რომლის შემწეობითაც ყოველგვარ საჭმელს სამაგალითოდ ინე

ბრძანებით. დაპატიმრებულთა შორის ორი მანდილოსანი ერია—ერთი მოხუცებული დედაკაცი და ერთიც ასე 20—21 წლის ახალგაზდა.

— რადა ხართ-მეთქი დაჭერილები? შევეკითხე.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე!.. ჩემი შვილო, დაიწყო მოხუცებულმა მანდილოსანმა: ცხენის ქურდობისათვის ამ რამდენისამე წლის წინად ციმბირს გაჰგზავნეს, იქ ვადა გაათავა და ნება მიეცა ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრებისა. აქეთ გადმოსვლა-კი აღკრძალული ჰქონდა. ამას წინად კალოებზედ მისულიყო თავისს ნათესავებთ ან, ეთქვა, ჩვენების სანახავად ჩამოვედი, გულმა ვერ გამიძლო, მინდა მამასახლისსაც გამოვეცხადოო, და წასულიყო. შეეტყო ეს ამბავი ჩვენმა მამასახლისმა, ყველანი აგერ მესამე დღეა დაგვაპატიმრა, 4 ივლისიდგან, ყოველ დღე გვცემს, უშვერის პირით გვლანძღავს, გვითხარით სად არის გამოქცეულიო. რა ვუთხრათ, რაც არა ვიცით-რა.

— რა გვარია ვისაც დაეძებენ?

— ია იალაშვილი გახლავთ.

— თქვენ იმისი რანი ხართ?

— მე დედა გახლავართ, დაჭერილნი არიან კიდევ ჩემი მეორე, ერთად-ერთი შვილი მიხა, ბიძა, ორი ბიძაშვილი და ეს ქალი კიდევ იმის ბიძაშვილის ცოლია. გამომწყვდეულნი ვართ ამ ბნელს სოროში, სადაც ძაღლსაც არ გაეძლისება, კერას და ათასს საოჯახო საქმეს მოშორებულნი.

საბრალო მოხუცებული ცხარე ცრემლით სტიროდა. ეს ამბავი იყო 5 ივლისს. 6 ივლისს, საღამოს ასე 9 საათზედ, საშინელი წივილი შემომესმა. მივუახლოვდი კანცელარიას და ვნახე, რომ დედაბერის ერთად-ერთი მუშა-მეოჯახე შვილი გაშხლართული იდო და ძლივს-ღა ჰფეთქავდა: 22 წლის უგონოდ მყოფს ჭაბუკს თავს დასტიროდა მოხუცებული მანდილოსანი, მოსთქვამდა და სახეს იკაწრიდა.

— რა მოხდა?!. ვკითხე მოხუცებულს მანდილოსანს.

— რა-და, სიკეთე ნუ შეეყაროს ჩვენს შეუბრალებელს მამასახლისს. დედაკაცების ცემითა და ლანძღვა გინებით რომ მოიღალა, ამ საღამოს გამოიყვანა ჩემი შვილი მიხა საპატიმროდგან, ჰკითხა: „იტყვი თუ არა სად არის ყაჩაღიაო?“ და რადგანაც უპასუხეს: „არ ვიციო!“, მისდგა თითონ მათრახით, გზირი ჯოხით და დაუწყეს შეუბრალებლად ცემა. გამწვავებულმა ველარ აიტანა ცემა, გაქცევა დააპირა, გამოეშვა ხელიდგან, გაჰქანდა, მაგრამ ფეხები გაეხლართა იქვე ეკლესიის გარემო შემოვლებულს მავთულში და კისერზედ დაეცა. გზირი წამოეწია და წაქცეულს დაუწყო კვლავ ცემა. ცემას რომ მორჩნენ, მამასახლისმა უბრძანა ხელები გაეკრათ და დაეპატიმრებინათ ისევ დედასთან. მას შემდეგ ასეა კრიჭა-შეკრული და გულ-შემოყრილი. წყალი ბევრი ვასხით, მაგრამ გონებაში ვერ ჩავაგდეთ. ნეტა რაზედ დამღუპა მაგ სახლ-კარ დასაღუპავმა, რაზედ მომიკლა ეს ერთად-ერთი შვილი-ი-ი?!.. დაიწყო კვლავ მოთქმით ტირილი მოხუცებულმა.

გამოვატანინე იქვე მეზობლის სახლიდგან ნიშადურის სპირტი, ბევრჯელ ვასუნებინე ნაცემს მიხა ილაშვილს, ბევრი ვუზილე საფეთქლები, მაგრამ ძვრაც არ მიეცა, მხოლოდ ჰლმუოდა და იწვა უძრავად. როგორც მითხრეს, დღესაც იგი ამავე მდგომარეობაშია და ენა არ ამოუდგამს თურმე.

ამ დროს მამასახლისიც გამოჩნდა თავისს სამფლობელო-საასპარეზო მოედანზედ, შევხედე: ჩასუქებულ-ჩარგვალებული კაცია პატარა ტანისა, შავს ახალუხზედ ვერცხლის ქამარი შემოურტყავს, ყელზედ გრძელი ვერცხლის ძეწკვი აგდია და უბის ჯიბიდგან ვერცხლის საათის ყური მოუჩანს. ერთის სიტყვით, სოფლის გლეხ-კაცი მამასახლისობაში ქალაქის კინტოდ გადანათლულ-გარდასხვაფერებული, თვალებს მელურად აცეცებს და სახეზედ მბრძანებლობის ელ-ფერი გადაჰფენია. ისეთ ნაირად გამოიყურება და იძვრის, თითქოს ყველას ამას ეუბნება, აქ მე ვარ მარტო და მაღლა—ღმერთიო.

აი, მთელი ეს ამბავი. იგი თავისდა თავადაც კარგად ახასიათებს ამ სამწუხარო მოთხრობას და არავითარი ახსნა-განმარტება აღარა სჭირია. ყოველ აქ აწერილს რამდენიმე კაცი დაესწრო. დარწმუნებულნი ვართ, რომ სიღნაღის მაზრის უფროსი, პატივცემული ბ-ნი შანშიევი ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, გამოიძიებს კარდანახის მამასახლისის გიორგი ელისაშვილის საქციელს და სამართალში მისცემს უკანონო მოქმედებისა და უფლების გარდამეტებისათვის. თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენ ყოველ აქ ნათქვამის დამტკიცებასაც შევიძლებთ.

ჩვენს მკითხველებს თავისს დროს ვაცნობებთ, რა გამოვა რისაგან.

ახ....

## რუსეთი

— ვარშავში განზრახულ საფარმაცევტო საქალებო ინსტიტუტს, როგორც ისმის, მხოლოდ მოსამზადებელ სასწავლებლის ხასიათი ექმნება. ვინც მაში სწავლას დაამთავრებს, მიიღებს პროვიზორის თანაშემწისა და პროვიზორის წოდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეკზამენს მოიხდის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ ანუ სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში. ინსტიტუტის დაარსების საქმე უკვე წარდგენილია განსახილველად საერო განათლების სამინისტროში.

— ეკზამენები ფარმაცევტის წოდების მისაღებად დაიწყება საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში 1-ლ ოქტომბრიდგან და გასტანს 15 ნოემბრამდე.

— პეტერბურგში, ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების თაოსნობით, შემოდგომიდგან დაარსდება ეგრედ წოდებული საინდუსტრიო ბიურო, რომელსაც თავისს პირდაპირ საგნად ექმნება: დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის მრეწველობის განვითარებას. ამ აზრით, როგორც მექარხნეთ, ისე ხელოსანთ, სოფლის მეურნეთ, შინად მრეწველთ და ვაჭართ ნება ექნებათ გამოჰფინ ნ ბიუროში მცირე ფასით თავიანთი ნაწარმოები და საქონელი, საჯაროდ გამოსცადონ ეს ნაწარმოები და საზოგადოდ ისარგებლონ ბიუროს ყოველგვარის სამსახურით. ბიუროში შესვლა უფასო იქნება.

— მიწადმოქმედების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული პრემიები დაენიშნოს საერო მასწავლებელთ აბრეშუმის ჭიის მოვლისათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალოს დეპარტამენტმა განმარტა, რომ იმ პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ მკურნალზედ არა ნაკლები სამკურნალო ხარისხი, შეუძლიათ დაიწყონ ყოველგვარი სამკურნალო პრაქტიკა, სხვათა შორის, კბილის მკურნალობაც, და, მაშასადამე, იმის უფლებაცა აქვთ, რომ გახსნან კბილის სამკურნალო კაბინეტი.

— სენატმა განმარტა, რომ ის პირნი, რომელთაც მიუღიათ კბილის მკურნალის დიპლომი და ეკუთვნიან ხარკის გამღებ წოდებას,ირიცხებიან მოხარკე საზოგადოებიდგან და სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს სარგებლობენ იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვთ მე—14 კლასის წარმომადგენელთ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** რენიდგან აუწყებენ გაზეთებს, რომ უოკელ გვარ ცნობებს დრეიფუსის საქმის გარჩევის შესახებ დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრას კაციო, რადგან სასამართლოს თავმჯდომარეს და მთავრობის კომისარს უკეთ თავისი მოქმედება დიდის საიდუმლოებით აქვთ მოცული. რაც შეეხება თითონ დრეიფუსს, კორესპონდენტების სიტყვით, ის, როცა მასთან მისი ვექილები არ არიან, განუწყვეტლივ მეცადინეობაშია და თავისს საქმეს სწავლობს. დილიდგან მოუღლებელი ნაშუადღევამდის არ ისვენებს; მხოლოდ ღამის პირველ საათზე ჰქრება მის ოთახში ლამპა. მხოლოდ სასმელ-საჭმლის, ექიმებისაგან დანიშნულ სეირნობისა და ცოლთან ლაპარაკის დროს ანებებს მუშაობას თავს. ისეთის თავდაუზოგველობით მუშაობს დრეიფუსი, რომ ძლიერ აკვირვებს თავისს მცველებს. ხშირად მღელვარება ეტყობა ხოლმე, ამა თუ იმ საქმის გარჩევის დროს, და ამ მღელვარებას დიდი გავლენა აქვს მის ცხოვრებაზედ: იმ დღეს ის თითქმის არაფერს არა სჭამს და მხოლოდ თამბაქოსა სწევს განუწყვეტლად. მოსამსახურედ დრეიფუსს ერთი ტუსაღი ჰყავს მიჩენილი, რომელიც „დენშჩიკის“ მსახურობას ასრულებს. დრეიფუსი კაპიტნის ახალ მუნდირს აკერვინებს და მოუთმენლად მოელის თურმე, როდის დადგება ის დრო, რომ თავიდგან მოიშოროს სამოქალაქო ტანთ-საცმელიო.

იმ სატუსაღოს მახლობლად, რომელშიაც დრეიფუსია, ტყვის ქარხანა არის მოთავსებული. ამ ქარხანაში მრავალი ხალხი იყრის თავს, რომ როგორმე დრეიფუსს შეხედონ იქიდგან. ფოტოგრაფიც კი დამდგარა იმ ქარხნის ერთ ოთახში, იქნება გადავიღო, რაც ხდება სატუსაღოშიო, მაგრამ ვერას გამხდარა. სატუსაღოს ადმინისტრაციას სქელი მაუდი გაუკიდია სატუსაღოს კედლებზე და ამ გვარად ღონისძიება მოუსპია ცნობის-მოყვარეთათვის რისიმე დანახვისა.

— როგორც ვიცით, იმ გარემოებამ, რომ მილიერანმა მინისტრობა იკისრა ვალდეკ რუსოს კაბინეტში, და გენერალ გალიფეს, სამხედრო მინისტრს, ამხანაგად გაუხდა, დიდი განხეთქილება გამოიწვია სოციალისტთა დასში. სოციალისტების ერთმა ნაწილმა ჟორესის და ვივიანის მეთაურობით, მილიერანის საქციელი ძლიერ მოიწონა და მთავრობის მომხრეობაზე ხელი არ აუღია, ხოლო

---

ლებს თურმე.

* * *

ეს ორიოდე მაგალითიც ნათლად ამტკიცებს, რამდენად ნაყოფიერია აწინდელი მკურნალობა. ამიტომ, თუმცა სხვა მაგალითიც ბევრია, იმათ აღარ გამოვუდგებით და ამ ფელეტონს დღეს ერთის, ჩვენის აზრით, საყურადღებო ამბით დავამთავრებთ.

თითქმის უხსოვარ დროიდგან ხალხში გავრცელებულია ის აზრი, რომ ძლიერ ავადმყოფს, სასიკვდილოდ გამზადებულ კაცს, რომლის სიცოცხლის დღეებიც უკვე დათვლილია, განსაკუთრებული „სიკვდილის სუნი“ უდისო. ამ აზრს დღემდის მეცნიერება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. შარშან „ბრიტანიის სამკურნალო ჟურნალის“ რედაქციამ მიჰმართა თავისს მკითხველებს და სთხოვა, შეგვატყობინეთ თუ ვინმემ რამე იცით ამ საგნის შესახებ და გვაცნობოთ თქვენი დაკვირვებანი და ფაქტებიო. პასუხი რედაქციამ ბევრის ხელისმომწერისაგან მიიღო. უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ სასიკვდილოდ განმზადებულ კაცს მართლაც უდის სუნი და ამ სუნის შეტყობა არც მაგრე ძნელიაო. ჯერ ისევ სტუდენტი ვიყავიო, სწერდა ერთი ექიმი, რომ მძიმე ავადმყოფების ოთახებში დავიარებოდი და ვცდილობდი შემეტყო, რომელს ავადმყოფს უდის ასეთი სუნი. მინდოდა ყნოსვა მიმეჩვია ამ სუნისათვის, რომ შემდეგ, მკურნალობის დროს, ადვილად მეცნო ხოლმე. რაკი ასეთი სუნი გაუჩნდება ავადმყოფს, იმის მორჩენას აღარაფერი ეშველებაო. ასეთსავე თვისებას აწერდნენ ამ „სიკვდილის სუნს“ ზოგიერთი სხვა მკურნალები და გაზეთის ხელის მომწერნი. მხოლოდ ვერც ერთი დაჯეჯითებით ვერ ამბობდა, რა ნაირია ეს სუნი და სიკვდილამდე რამდენის დღით ადრე უჩნდება ავადმყოფს. ზოგი ორ დღესა სდებდა ვადად, ზოგი—სამსა და ზოგიც—ოთხს.

სხვათა შორის საყურადღებოა მიდლსეკის საავადმყოფოს მკურნალის ხარდმანის წერილი, იმავე ჟურნალში დაბეჭდილი. ამ საავადმყოფოში, ამბობს ექიმი, ერთი ქალი იწვა. მერვე დღეს შევიტყე, რომ ქალს რაღაც უცნაური, მეტად მძიმე და უსიამოვნო სუნი უდიოდა. ასეთი სუნი წინადაც რამდენჯერმე შემიმჩნევია; ვერც ერთი ავადმყოფი, რომელსაც ასეთი სუნი უდიოდა, სიკვდილს ვერ გადარჩა. ეხლაც ესევე მოხდა: ქალი თითქმის მორჩენის გზას დაადგა, რომ უეცრად და მოულოდნელად გარდაიცვალა. რამოდენისამე ხნის შემდეგ თვით მე გავხდი ავად. ერთ დღეს შევნიშნე, რომ მეც მიდიოდა ის უცნაური სუნი. ჯერ ვსთქვი, იქნებ ვცდები, ბევრის ფიქრისაგან მელანდება მეთქი, ამიტომ გადავწყვიტე სხვისთვის გამომეკითხნა. ავადმყოფობის დროს მივლიდა სამკურნალოს მოახლე ქალი, ამ საქმეში დახელოვნებული და გამოცდილი. როდესაც ვკითხე, ჩემგან სუნი ხომ არ მოდის მეთქი, ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და დაუმატა, ასეთივე სუნი კემბრიჯს (იმ ქალს, რომლის შესახებაც ზემოდ ვწერდით) უდიოდაო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ აღმოჩენამ საშინლად დამაღონა და დამაძმარა. ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილი მეგონა და, ასე გასინჯეთ, მღვდელიც-კი მოვიწვიე. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამიმართლდა, მალე სრულიად მოვრჩი და ფეხზედაც წამოვდექიო.

ეს ფაქტი, აშკარაა, იმას მოწმობს, რომ ამ უცნაურ სუნს ყოველთვის სიკვდილი არ მოსდევს. უმრავლესობა მცოდნე კაცებისაც იმას ამბობენ, რომ ეს სუნი იმ ბრძოლის მომასწავებელია, რომელიც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იმართება ხოლმე და თუმცა უმეტეს ნაწილად სიკვდილი იმარჯვებს, მაგრამ ისეთი მაგალითიც ხშირია, როდესაც იგი ბრძოლის ველიდგან დამარცხებული გამოდისო.

რაც შეეხება თვით ამ „სიკვდილის სუნს“, იმის არსებობას თითქმის უარს აღარა ჰყოფენ. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად ის გარემოება მიაჩნიათ, რომ ზოგიერთი ცხოველები, როგორც, მაგალითად, კატა და, განსაკუთრებით, ძაღლი, ტყობილობენ ოჯახის რომლისამე წევრის სიკვდილის მოახლოვებას და ტყობილობენ ამას სწორედ „სიკვდილის სუნის“ წყალობით. ხალხში ხშირად ამბობენ ხოლმე, როდესაც ძაღლის ყმუილს გაიგონებენ, რომ ძაღლის პატრონის ოჯახში უთუოდ მოკვდება ვინმეო. აქამდის ეს ცრუ-მორწმუნოებად მიაჩნდათ, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, უბრალო ხალხი აქაც მართალი გამოდგა: ძაღლი მართლა მაშინა ყმუის, როდესაც რომელისამე კაცის სიკვდილის მოახლოვებას ტყობილობს.

აი რას მოგვითხრობს ერთი ექიმი, გვარად კალლამანი ამის შესახებ. ერთხელ ღამე ძაღლის საშინელი და შემზარავი ყმუილი მომესმა. ჩემს ახლო ძაღლი მხოლოდ ერთს კაცსა ჰყვანდა; ეს კაცი ჭლექით იყო ავად. ძაღლი ჩუმი არსება რამ იყო და იმისაგან ყმუილი არასოდეს არ გამიგონია. მეორე დღეს ადრე გამაღვიძეს და ჩემ მეზობელ ჭლექიანთან მიმიწვიეს, მაგრამ ჩემი მისვლა და ავადმყოფის გარდაცვალება ერთი იყო. ოთახში შესვლისათანავე უცნაური, განსაკუთრებული სუნი მეცა. აშკარაა, ამბობს იგივე ექიმი, ამ სუნმა ძაღლამდინაც მიაღწია, რაღაც გამოურკვეველი შიში გადასცა და ყმუილი დააწყებინაო.

ამ რამდენისამე წლის წინად პარიჟის ზოოლოგიურ ბაღში, ერთს დღეს იქ მყოფმა ძაღლებმა მოულოდნელად და უმიზეზოდ ყმუილი შეჰქმნეს თურმე. მეორე დღეს იმ ადგილის მახლობლად, სადაც ძაღლების სადგომი იყო, ჩამოღრჩობილი კაცი უნახავთ. ისეთს მაგალითებს, როდესაც ძაღლები კაცის სიკვდილის მოახლოვებას იტყობენ და ამის გამო, ყმუილს იწყობენ ხოლმე, ექიმები მრავალს იუწყებიან. რაღა ექიმები, როდესაც ჩვენშიაც, განსაკუთრებით სოფლად, ასეთ ამბავს ძალიან ბევრს გაიგონებთ.

ი. ა—ძე

ლო მეორე ნაწილმა, ეგრედ წოდებულმა გედისტებმა, ბლანკისტებმა და კომუნართა კავშირმა, მილიერანის საქციელი ბურჟუაზიულ დასთან კავშირად ჩასთვალა და ამიტომ გადაუდგა მთავრობას და ოპოზიციას მიემხრო. ჟორესმა წინადადება შეიტანა ამ გვარ უთანხმოების გამოსარკვევად საერთო კონგრესი მოვახდინოთ მთელის საფრანგეთის სოციალისტთა დასისაო. ეს აზრი ყველას ძლიერ მოეწონა და, როგორც ფიქრობენ, კონგრესი შეიკრიბება სექტემბერში.

— გაზეთების სიტყვით, პარიჟის დიპლომატიურ წრეებში მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, რომ შეიძლება იტალიის მეფის სახლობა პარიჟის გამოფენას დაესწროსო. ამ მოლაპარაკების დროს იმასაც არ ივიწყებენ, თუ რამდენად შესაძლებელია იმავე დროს სხვა დიდი სახელმწიფოების მპყრობელნიც დაესწრნენ გამოფენას. მაგრამ ამას-კი ფიქრობენ, რომ ინგლისის დედოფალი ვიქტორია თავისი წლოვანების გამო ვერ შესძლებს სხვა ხელმწიფეებთან ერთად პარიჟის გამოფენის ნახვას.

—

**ინგლისი.** როგორც იუწყებიან, ამ დღეებში მინისტრებს ბჭობა ჰქონიათ ლონდონში ლორდ სალისბერის თავმჯდომარეობით. ბჭობის უმთავრეს საგანს შეადგენდა ტრანსვაალის რესპუბლიკასთან ინგლისის ეხლანდელი დამოკიდებულება. სალისბერს და მინისტრთა უმეტესობას გადაწყვეტილი უარი განუცხადებიათ ომის შესახებ და ის აზრი გამოუთქვამთ, რომ მშვიდობიანობა დავიცვათო. ინგლისის მთავრობა თხოულობდა, რომ 5 წლიწადს ვინც იცხოვრებს ტრანსვაალში, იმას მოქალაქის ყველა უფლება უნდა მიენიჭოსო. ტრანსვაალის მთავრობამ-კი ასეთ უფლებათა მოსაპოვებლად საჭიროდ სცნო, რომ უცხოელმა 7 წლიწადი მაინც იცხოვროს ტრანსვაალში. სალისბერისა და სხვათა წინადადებით, მინისტრთა საბჭო დაკმაყოფილებულა ტრანსვაალის მთავრობის გარდაწყვეტილებით და სამშვიდობო პოლიტიკის გზას დასდგომია. ასეთმა ცვლილებამ მართებლობის სფერაში თავისი გავლენა იქონია პრესაზე: ის გაზეთებიც კი, რომელნიც ყოველ დღე ემუქრებოდნენ ტრანსვაალს, ეხლა სულ სხვა კილოზე ლაპარაკობენ. ერთი ამ გვარ გაზეთთაგანი—„Times“-ი ამბობს, რომ კრიზისი მოსპობილად უნდა ჩაითვალოსო.

## დამაკვირდი

—

ცხოველ მყოფელი მზის სხივით გაბრწყინვებული კარდობის თთვე შვენიერებაა.

ლასურიძე

* * *

ტანჯე გულის-თქმა შენა, რათა არა გტანჯოს მან უკუნისამდე.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

მეფესა უხმს მოხსენებაჲ ამის, ვითარმედ კაცი არს, სხვათაცა კაცთა თანასწორი და მსგავსი მათივე და მმაჲ.

ფილოსოფ. პლატონ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც იტალიანური გაზეთები იუწყებიან, ამას წინად უცნაური ომი მომხდარა ასმართან... ორ ოჯახს შორის მოსაზღვრე მიწების გამო. ამ მოსაზღვრეთ ლაპარაკი მოსვლიათ, ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა. მოსაზღვრეების გარდა ჩხუბში ჩარეულან მეგობრები, მოსამსახურეები, ნაცნობები და, ასე გასინჯეთ, მღვდლებიც-კი, ასე რომ ჩხუბი უშველებელ ბრძოლად გარდაქცეულა. საომარ იარაღად, რევოლვერების გარდა, უხმარიათ თოფები, კეტები, ქვები, ნიჩბები, ორთითები, ხოლო დედაკაცებს, ყველა ამის გარდა, ცოცხიც-კი. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა თურმე. მოკლული აღმოჩნდა 5 კაცი, ხოლო მძიმედ დაჭრილი 30 კაცი. მეორე დღეს ბრძოლის ველი გუბერნატორსა და სხვა მოხელეთ დაუთვალიერებიათ. გუბერნატორის ბრძანებით, ყველა მებრძოლთათვის იარაღი აუყრიათ და შემდეგ დიდი ჯარიმა გარდაუხდევინებიათ.

* * *

1874 წელს მთელ დედამიწის ზურგზედ 1,391,000,000 მცხოვრებელი ყოფილა, ხოლო ოცის წლის განმავლობაში ეს რიცხვი კარგა შესამჩნევად გამრავლებულა და 1895 წელს 1,480,000,000-დ ქცეულა, ე. ი. 6 პროცენტი მომატებია. თუ მხოლოდ 5 პროცენტის მომატებას ვიანგარიშებთ 1900 წელს მცხოვრებთა რიცხვი 1549 მილიონი უნდა იყოს, ხოლო 2000 წელს, ე. ი. ასის წლის შემდეგ, დაახლოვებით—2548 მილიონი. ასეთი გამრავლება ხალხისა ბევრს ეკონომისტს აფიქრებს და აღონებს —ხალხს საკვები შემოაკლდებაო. მაგრამ დასაფიქრებელი და დასაღონებელი აქ არაფერია. იმის გარდა, რომ დედამიწის ზურგზედ მრავალი ადგილია დაუმუშავებელი და ხელ-უხლები, მეცნიერება ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ იმის წყალობით დღეს არა ხვალ ხრიოკ კლდეზედაც-კი შესაძლებელი იქმნება პურის მოყვანა, არამც თუ მარტო ნაყოფიერსა და მდიდარს მიწაზედ.

* * *

ამერიკული გაზეთები შემდეგს ამბავს მოგვითხრობენ. ნიუ-იორკის ერთს საუკეთესო რესტორანში სადილს შეექცეოდნენ თურმე მეუღლენი გრეიები. სადილის გათავებისას ცოლს ელზა გრეის ამოუღია სიგარა და წევა დაუწყვია. რესტორანის პატრონს ისე სწყენია ეს, რომ პირდაპირ მისულა მანდილოსანთან და უთქვამს, გთხოვთ სიგარის წევას თავი გაანებოთ, რადგანაც ეგ თქვენი საქმე არ არისო. „მე კიდევ გთხოვთ, სხვის საქმეში ნუ ერევითო“,—მიუგია ქალს. რესტორანის პატრონი უფრო გაწიწმატებულა; არც აუღია, არც დაუღია და პოლიციელისთვის-კი დაუძახნია. ამ უკანასკნელსაც დაუპატიმრებია ქალი და მოსამართლესთან წაუყვანია. მოსამართლესაც, განუხილავს-რა საქმე, შემდეგი ბრძნული განაჩენი დაუდგენია: მანდილოსანს სრული ნება ჰქონდა თავისი საკუთარი სიგარა მოეწია, რესტორანის პატრონს ნება ჰქონდა საკუთარის რესტორანიდგან გაეყვანა მანდილოსანი და პოლიციელსაც ნება ჰქონდა ბრძანებისამებრ და სამსახურის მოვალეობისამებრ მანდილოსანი დაეპატიმრებინა,—ერთის სიტყვით, ყველანი მართლები არიანო.

* * *

კოლორადოში ერთი ქალაქია, სახელად ვიქტორი. ამ ქალაქის თვით-მართველობას განუზრახავს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ხელოვნური მიწის-ძვრა მოახდინოს, რათა, ერთის მხრით, ღირსეულად იდღესასწაულოს ეს დღე და, მეორეს მხრით, მთელის ქვეყნის ყურადღება მიიქციოს და ყველანი აალაპარაკოს. განზრახვა სამაგალითოდ შეუსრულებიათ ქალაქის პატრონთ. ქალაქი ვიქტორი გაშენებულია ერთის მთის ფერდობზედ. შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც ჯერ გამოსაცდელად მცირედად უნდა მოეხდინა მიწის-ძვრა. კომიტეტს ქალაქს გარეშემო ხევებსა და ხრამებში ხუთი ტონი დინამიტი ჩაუფლივს. დანიშნულს დროს გუბერნატორი და 30,000 მცხოვრებელი მოუთმენლად ელოდნენ თურმე მიწის-ძვრას. როდესაც ყველა ხევებში დინამიტისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ, 80 მილის მანძილზედ გარეშემო მიწა მართლაც შერყეულა და დანძრეულა. როგორც ვთქვით, ეს მხოლოდ გამოუცდიათ, მოხდება თუ არა მიწისძვრაო. ამ გამოცდის დროს ხევებთან მდებარე სახლები ძალიან დაშავებულა, ასე რომ სახლის პატრონთ შეუმდგომლობა აღუძრავთ მოსამართლეების წინაშე და უთხოვნიათ მეორედ ნუღა მისცემთ ნებას მიწის ძვრა მოახდინონო. მაგრამ პატრიოტიზმით გატაცებულთ მოსამართლეებს ეს შეუმდგომლობა არ შეუწყნარებიათ და დღესასწაულ დღეს მიწის-ძვრა უფრო ძლიერ მოუხდენიათ. მრავალი სახლი დაქცეულა. როგორც ამბობენ, ამ უცნაურ დღესასწაულს რამდენიმე კაციც-კი უმსხვერპლია.

* * *

მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ლუბეს ორმა ამერიკელმა დიდი ფული შეაძლია იმ შლიაპაში, რომელიც პრეზიდენტს ლონშანში ეხურა, როდესაც გრაფმა კრისტიანმა ჯოხი მოუქნია და ოდნავ მოარტყა კიდეც. დედამიწაზედ მრავალი ყოფილა თურმე ისეთი კაცი, რომელიც გულ-დადებით ჰკრებავს ამ გვარ ვითომდა „შესანიშნავს“ ნივთებს: შლიაპებს, სერთუკებს, ფრაკებს, ფეხ-საცმელს, ჯოხებს და სხვებს. განსაკუთრებით ბევრნი ყოფილან „ჯოხების მკრებავნი“. შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ნამყოფს კლიველენდს, მაგალითად, 780 ამ გვარი „შესანიშნავი“ ჯოხი ჰქონია. კლიველენდის ერთს ჯოხზედ ამოჭრილია თურმე წვრილის ასოებით მთელი „მამაო ჩვენო“ და ყველა შტატის სახელი. ნიუ-იორკელსავე ექიმს ჰოლს ერთი ჯოხი ჰქონია, რომელიც 200,000 მანეთად დაუფასებიათ. ამ ჯოხის თავი ოქროთი და ძვირფასის ალმაზებით ყოფილა დამშვენებული. ოქრო 3 გირვანქას იწონის თურმე. ვალლისის პრინცს 170 ძვირფასი ჯოხი ჰქონია, ერთი მათგანი გაკეთებულია იმ ხის ტოტისაგან, რომლის ქვეშაც 1651 წელს მეფე კარლოს II-ე თავისს მტრებისაგან იმალებოდა. ბევრი ძვირფასი ჯოხი ჰქონია განსვენებულ ბისმარკსაც. არის ისეთი ჯოხებიც, რომელიც თვალის დახამხამებაზედ შეგიძლიანთ გადააქციოთ ჩიბუხად, ხანჯლად, ელექტრონის ლამპად, სკამად, საწერ პრიბორად და სხ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი.

**ანტივარი.** დილის 10 საათ. პრინცესა იუტამ მიიღო მართლმადიდებლობა. დაესწრნენ: კნიაჟიჩები დანილო და მარკო, ნეაპოლის ჰერცოგი, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

**სოფია.** გუშინ, ცესარევიჩის ცხედრის დასაფლავების გამო, რუსეთის დიპლომატიურ აგენტის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი, საბჭოს პრეზიდენტისა და მინისტრების თანადასწრებით.

**პარიჟი.** მილვუა შეეკითხა გალიფეს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც აფიცრების წინააღმდეგ იქმნა ხმარებული, განსაკუთრებით —ნეგრიეს წინააღმდეგ.

**ბელგრადი.** სამხედრო სასამართლომ გუშინს აქეთ განიხილა სხვადა-სხვა საქმე უმაღლესობის შეურაცხების შესახებ და სხვა საქმეები რომელთაც კავშირი არა აქვს მილანის წინააღმდეგ შეთქმულობასთან. სამს დამნაშავეს სატუსაღოში დაპატიმრება მიუსაჯა სასამართლომ. ერთი, რომელსაც სამეფო გვარეულობის წინააღმდეგი წიგნაკის გავრცელება ჰბრალდებოდა, გამართლდა. შეთქმულთა შესახებ საქმე ჯერ არ დაუწყიათ გასარჩევად.

16 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება დროებით შეკრულ მამულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

**კანი.** ისარგებლა რა იმითი, რომ პრეზიდენტი თავისს მეგობრებს ესაუბრებოდა, ერემ ორჯელ ესროლა რევოლვერი. პრეზიდენტი, რომელსაც ტყვია გულში მოხვდა, იმ წამსვე გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი შიშის ზარი გამოიწვია.

**ხუანი.** ყოვლად მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტად იზიდორ ხიმენესი იქმნას ამორჩეული.

**პარიჟი.** სრულიად ტყუილია ის ხმა, ვითომ გენერლები ჟამონი და ერვე სამსახურიდგან გადამდგარიყვნენ.

## ბ-ნს პეტრე საყვარელისძე ქადეიშვილს.

წავიკითხე „ივერიაში“ თქვენი წერილი, საიდგანაც ვცან, რომ თქვენ 1896 წელს მიგიციათ ქ. ბათომში ბ-ნ ივანე დავითის ძე კაკაბაძისათვის „შუამავალი“ ამხანაგობის საწევრო წილად ოცი მანეთი და არ იცით დღემდე,—ირიცხებით წევრად ამხანაგობისა, თუ არა?

დღეს თუმცა სხვა ახალი გამგეობა ჰყავს „შუამავალს“ და მე არავითარს განკარგულებას აღარ ვახდენ, მაგრამ, რადგან ეს და ყველა, დღემდე მომხდარი, საქმე მე უკეთ ვიცი, ამისათვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მოგაწოდოთ ის ცნობები, რაც-კი მოიპოვება ამის შესახებ „შუამავლის“ საქმეებში.

პირველად, ჯერ ვიდრე ნამდვილ საქმეებს შეუდგებოდა ამხანაგობა, ჰყავდა დროებითი გამგეობა და ამ დროებითს გამგეობას დანიშნული ჰყავდა თავის მხრივ ტფილისსა და სხვა ადგილებში წარმომადგენლები, რომელთაც უნდა შეეძინათ ამხანაგობისათვის წევრები. ამ წარმომადგენელთა შორის იყო აგრეთვე ბ-ნი ივანე დავითისძე კაკაბაძეც, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, 27 იანვარს 1897 წელს, გამოუგზავნა დროებითს გამგეობას სია წევრთა და იმ წევრთაგან შემოტანილი ფული, სულ ოცი თუმანი. აი ის, მის მიერ გამოგზავნილი, წევრთა სია.—

1, გუგუშვილი ნიკა დუტუს ძე . 20 მ.
2, ბერძნიშვილი ექვთიმე . . . 20 მ.
3, კახიანი ივანე მიხეილის ძე . . 10 მ.
4, ღოღობერიძე ტარიელ ლიპარის ძე 10 მ.
5, ფირალოვი ბასილ ზ. . . . 10 მ.
6, მიხაილინოსი პავლე . . . . 20 მ.
7, გოგინაშვილი მიხეილ . . . 20 მ.
8, ქუთათელაძე სარდიონ ლევანის ძე 20 მ.
9, ქადიაშვილი სამოელ ოთარის ძე 20 მ.
10, კაკაბაძე ივანე დავითის ძე . . 50 მ.

სულ 200 მ.

აქ, როგორც თქვენ თითონაც შეამჩნევდით, არის მგზავსი თქვენის გვარისა და სწორედ ოცი მანათი აქვს იმასაც შემოტანილი, ხოლო ის არის „ქადიაშვილი“ და არა ქადეიშვილი და მასთან „სამოელ ოთარის ძე“ და არა პეტრე საყვარელის ძე. ტყუილად მოუხსენებია ბ-ნ ივანე დავითის ძე კაკაბაძეს, რომ „შუამავლის გამგეობა გამოგიგზავნით ტფილისიდგან წილის ბარათსაო“, თქვენ წევრად არ ირიცხებით ამხანაგობისა და, მაშასადამე, არც წილის ბარათს გამოგიგზავნიდათ გამგეობა. გამგეობას დიდი ხანია გამოწერილი აქვს ყველა წევრისათვის წილის ბარათი და დაუყოვნებლივ უგზავნის წევრთ, როდესაც ისინი აცნობებენ თავისს ადრესს და დაუბრუნებენ მასთან კერძო ბარათს, რომელიც ყველა წევრს უნდა ჰქონდეს ხელთ, ვიდრე წილის ბარათს მიიღებდეს.

რომ ყოვლად პატივცემულს ბ-ნ ივანე დავითის ძე კაკაბაძეს, რომელმაც არა მცირედი სამსახური გაუწია „შუამავალს,“ შეიძლება, როგორც თქვენგან, აგრეთვე ზოგიერთ სხვათაგანაც ჰქონდეს კიდევ შაგროვილი „შუამავლის“ საწევრო წილი, ეს ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან, ამ ორი-სამის თვის წინად, მისის ტფილისში მყოფობის დროს, თვითვე ეთქვა ერთის ჩვენის კანტროლის წევრისათვის, რომ ცამეტი თუმანი კიდევ მაქვს თქვენს ამხანაგობაში გარდმოსაცემიო, მაგრამ დღემდეც ველით და ბ-ნი ივანე დავითისძე კაკაბაძე არსადა სჩანს. ამ საგნის შესახებ წინადაც ორჯელ-სამჯერ მისწერა გამგეობამ წერილი ბ-ნ ივანე დავითის ძეს კაკაბაძეს, მაგრამ არც-რა იმითი გამოვიდა. ამისათვის უმორჩილესადა ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი „შუამავლის“ საწევრო გარდასახადი მიუცია ბ-ნ ივანე დავითის ძე კაკაბაძისათვის, გარდა ამ წერილში ჩამოთვლილთა, გვაცნობოს კერძო წერილით, გამოგვიგზავნოს მასთან, თუ მოსახერხებელი იქმნება, ფულის ჩაბარების ბარათიც.—

გამგეობის თავმჯდომარეთ ნამყოფი
ლადო აღნიაშვილი

ადრესი: აღებ-მიცემა (ТОРГОВЛЯ) „შუამავალი,“ თამამშოვების ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ.

## შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ თანხის განსაძლიერებლათ შეკრებილი მთ. ალექსანდრე ვარდიაშვილის მიერ ს. ნაფარეულში 7 მან. ეს ფული შემოუწირავს: მღ. ივანე ვარდიაშვილს 1 მ., ეკატირინე ვარდიაშვილისას 1 მ., ნინა ვარდიაშვილისას 1 მ., ნატალია ცაცანიძეს 1 მ., კნ. დავით ყარალაშვილს 1 მ., თამარო გულისაშვილს 1 მ., პოლიევქტო ცინცაძეს 1 მ.


# განცხადებანი

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—6)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ზარქელ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და **სოფ. კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

ნ. წერეთელი

(50—6.—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.